

საგადასახადო დავების პრაქტიკის გზამკვლევი

ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებული
PwC საქართველოს საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის მიერ

6 მაისი 2019
გამოცემა #5



PricewaterhouseCoopers (PwC) საქართველო გთავაზობთ საგადასახადო დავების პრაქტიკას შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხის ფაქტობრივ გარემოებებს, დავის მონაწილე მხარეთა არგუმენტებს და დავის განმხილველი ორგანოების მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. არსებული გამოცემა ატარებს მხოლოდ ზოგად საინფორმაციო ხასიათს არსებულ საკითხებზე და არ წარმოადგენს პროფესიულ რჩევას.

მიმოვიხილავთ შემდეგ საკითხებს:

საკითხი #1: სამედიცინო ნარჩენების
უტილიზაციის დღგ-ით დასაბეგრ
ოპერაციად განხილვა;

საკითხი #2: მსმენელთა სარეზიდენტო
პროგრამის სწავლების დღგ-ით დაბეგრა;

საკითხი #1: სამედიცინო ნარჩენების
უტილიზაციის დღგ-ით დასაბეგრ
ოპერაციად
განხილვა

ფაქტობრივი გარემოებები

კომპანია ახორციელებს სამედიცინო სახიფათო ნარჩენების შეგროვებას, გატანას და განადგურებას, რომელიც ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით სპეციალურ ეპიდემიოლოგიურ მოთხოვნებს ექვემდებარება. კომპანია აღნიშნულ მომსახურებებს არ ბეგრავდა დამატებული ღირებულების გადასახადით. აუდიტის დეპარტამენტმა განახორციელა საგადასახადო შემოწმება, რომლის შედეგადაც ეს ოპერაციები მიიჩნია დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებად.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

აუდიტის დეპარტამენტის განმარტებით, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ განმარტავს სამედიცინო მომსახურებას, შემოწმებამ იხელმძღვანელა საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრული ტერმინებითა და ცნებებით. კერძოდ:

- საქართველოს კანონით "პაციენტის უფლებების შესახებ" "სამედიცინო მომსახურება – დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩატარებული ნებისმიერი მანიპულაცია და პროცედურა";
- "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად – "სამედიცინო საქმიანობა (სამედიცინო მომსახურება) – საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასთან და აღდგენასთან, პალიატიურ მზრუნველობასთან, პაციენტის სამედიცინო მოვლასთან, პროთეზირებასთან, პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირებასთან, პაციენტის სამედიცინო განათლებასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან, სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებთან და სამედიცინო დაწესებულებებში გაწეულ, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანმხლებ მომსახურებასთან და ხორციელდება დადგენილი წესით";
- საქართველოს კანონით "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი – სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფო სერტიფიკატი ან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია";

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოწმებამ მიიჩნია, რომ კომპანიის საქმიანობა არ წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებას და კომპანიას არ ეკუთვნის დღგ-საგან გათავისუფლება. შესაბამისად, კომპანიას დაერიცხა ძირითადი გადასახადი და ჯარიმა.

კომპანიის არგუმენტაცია

კომპანიის საქმიანობის საგანი და მიზანი საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო ნარჩენების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სტანდარტებით უტილიზაციის განხორციელებაა.

კომპანიის განმარტებით, „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მიზანი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის უფლებების დაცვა და მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაა. სწორედ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონი განმარტავს, რომ სამედიცინო საქმიანობა (სამედიცინო მომსახურება) ეს არის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასთან და აღდგენასთან (ფსიქიკურ, სოციალურ, სამედიცინო და ფიზიკურ რეაბილიტაციასთან), პალიატიურ მზრუნველობასთან, პაციენტის სამედიცინო მოვლასთან, პროთეზირებასთან, პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირებასთან, პაციენტის სამედიცინო განათლებასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან, სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებთან და სამედიცინო დაწესებულებებში გაწეულ, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანმხლებ მომსახურებასთან და ხორციელდება დადგენილი წესით.

კომპანიის არგუმენტაციით, აღნიშნული ნორმა კუმულაციურია და იურიდიული შედეგის დადგომა დაკავშირებულია ორი პირობის ერთობლიობასთან: საქმიანობა არის სამედიცინო დაწესებულებაში გაწეული სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული თანმხლები მომსახურება და რომელსაც კომპანია ნამდვილად ახორციელებს დადგენილი წესით. შედეგად კომპანია მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე:

- იმ ფაქტს, რომ სამედიცინო ნარჩენების მართვა სამედიცინო საქმიანობის თანმხლები მომსახურებაა, ხაზს უსვამს თავად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე „ინფექციური კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში“ გრაფაში განთავსებული მოთხოვნათა ჩამონათვალი, რომელიც პირველ რიგში სადებიზინფექციო, სასტერილიზაციო საქმიანობას, ხოლო შემდგომ სამედიცინო ნარჩენების მართვას ეხება;
- ის, რომ სამედიცინო ნარჩენების გადამუშავება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებაა და მინიმუმ სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული თანმხლები მომსახურებაა უპირობოდ გამომდინარეობს ამ ტიპის ნარჩენის განადგურებისთვის სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მოთხოვნებითა და ინსტრუქციებით, ასეთი საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამისი ნებართვის მოპოვების მოთხოვნის დაწესებით;

კომპანია ყურადღებას ამახვილებს მთავრობის 2010 წლის დადგენილებაზე – „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონალური დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“. ამ უკანასკნელის მიხედვით სამედიცინო დაწესებულებას ევალება სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო სეგრეგაციის, შეგროვების, შენახვის, გატანის, უტილიზაციის ან/და განადგურების კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფა. აღნიშნული კი შესაძლოა განხორციელდეს უშუალოდ ლიცენზიის მამიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელება.

დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება

აღნიშნული საკითხი განიხილა შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭომ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მითითებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. საბჭოს განმარტებით, კომპანია საკუთარ არგუმენტს ასაბუთებს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით. ამ კანონის მიხედვით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცნება განმარტებულია შემდეგნაირად: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა არის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ, დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა“.

ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე საქმიანობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია კომპანიის საქმიანობა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონით განსაზღვრულ სამივე ელემენტს კუმულაციურად, კერძოდ მიმართული უნდა იყოს:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ;
- დაავადებათა პრევენციისაკენ;
- დაავადებათა კონტროლისაკენ;

საბჭო მიიჩნევს, რომ ვინაიდან კომპანიის საქმიანობა არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ სამივე ელემენტს. ამდენად, მისი საქმიანობა არ ჩაითვლება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებად.

ამასთან, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით რომ კომპანიის საქმიანობა სამედიცინო მომსახურებად იქნეს მიჩნეული აუცილებელია ორი პირობის ერთდროულად დაკმაყოფილება, კერძოდ, უნდა ახორციელებდეს:

- სამედიცინო დაწესებულებებში გაწეულ, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანმხლებ მომსახურებას;
- მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს დადგენილი წესით;

საქართველოს კანონით „პაციენტის უფლებების შესახებ, სამედიცინო მომსახურების მიმღებია პაციენტი (მომსახურების ობიექტი). "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტის მიზნობრივი და ლოგიკური განმარტებითაც ცხადია, რომ მომსახურების ობიექტი არის პაციენტი, რადგანაც შეუძლებელია სამედიცინო მომსახურების ობიექტი პაციენტის გარდა იყოს სხვა პირი. შესაბამისად, თანმდევი მომსახურებაც უნდა იყოს პაციენტისთვის გაწეული და არა სამედიცინო დაწესებულებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების ნებისმიერი ქვეკონტრაქტორი ჩაითვლებოდა სამედიცინო მომსახურების გამწევად. მაგალითად, ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი, რომელიც ასუფთავებს სამედიცინო დაწესებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საბჭომ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

წყარო: შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება #20334/7/2018

საკითხი #2: მსმენელთა სარეზიდენტო პროგრამის სწავლების დღე-ით დაბეგრა;

ფაქტობრივი გარემოებები

კომპანია საუნივერსიტეტო კლინიკაში ახორციელებს მსმენელთა სარეზიდენტო პროგრამის სწავლებასა და ექთნების გადამზადებას. აღნიშნულ მომსახურებას კომპანია არ ბეგრავდა დამატებული ღირებულების გადასახადით. აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შემოწმებით, ეს მომსახურება მიჩნეულ იქნა დღე-ით დასაბეგრ ოპერაციად.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

აუდიტის დეპარტამენტის პოზიციით მსმენელთა სარეზიდენტო პროგრამის სწავლება განხილულ

იქნა დღე-ით დასაბეგრ ოპერაციად. შესაბამისად, კომპანიის მიერ შესამოწმებელ პერიოდში არასამედიცინო, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა, რომელიც განიხილება დღე-ით დასაბეგრ ოპერაციად, უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში გადააჭარბა 100 000 ლარს. შედეგად, საგადასახადო შემოწმების მიერ შესამოწმებელ პერიოდზე დარიცხულ იქნა ძირითადი გადასახადი და სანქცია.

კომპანიის არგუმენტაცია

კომპანიის პოზიციით, საუნივერსიტეტო კლინიკაში სტუდენტებისათვის რეზიდენტურის გავლა და ექთნების გადამზადება საგანმანათლებლო საქმიანობას წარმოადგენს, რადგან კლინიკა საუნივერსიტეტოა და გავლილი აქვს შესაბამისი სახელმწიფო აკრედიტაცია. კომპანია არ ეთანხმება აღნიშნული მომსახურებების დღე-ით დასაბეგრ ბრუნვად განხილვის საკითხს და მიუთითებს რომ:

- საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ განმარტავს, რომ რეზიდენტურა არის საექიმო საქმიანობის შემადგენელი, უმაღლესის - შემდგომი პროფესიული მომზადების ეტაპი ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში; რეზიდენტი - არის პირი, რომელიც გადის რეზიდენტურის კურსს ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში; საუნივერსიტეტო კლინიკა - არის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე, კვალიფიციური ექიმებითა და პედაგოგებით დაკომპლექტებული, სახელმწიფო სამედიცინო პროგრამაში მონაწილე, საზოგადოებრივი სამედიცინო ჯანდაცვის სისტემაზე ორიენტირებული უმაღლესი დონის მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულება, რომლებშიც მიმდინარეობს კლინიკური დისციპლინების სწავლება, მეცნიერული კვლევა და უმცროსი ექიმებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება და რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლეს სამედიცინო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვის შესახებ;

კომპანია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლზე, რომლის მიხედვით:

- კლინიკურ სპეციალობაში რეზიდენტურის კურსის გავლა დასაშვებია მხოლოდ საუნივერსიტეტო კლინიკაში ან სამინისტროს მიერ განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებაში;
- პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალობაში რეზიდენტურის კურსის გავლა დასაშვებია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის შესაბამის კათედრაზე, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ან სამინისტროს მიერ განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებაში;

რაც შეეხება რეზიდენტურას, საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მე-5 მუხლის რეგლამენტაციის თანახმად, რეზიდენტურა წარმოადგენს უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომის შემდგომ საფეხურს, სასწავლო პროგრამებისა და პრაქტიკული საექიმო საქმიანობის ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო შეკვეთის საფუძველზე (სტომატოლოგიურ სპეციალობებში დასაშვებია კერძო დაფინანსება) პროფესიულ მომზადებას ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში. შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამით დადგენილ ვადაში.

დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები

საკითხი თავდაპირველად განიხილა შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მიიჩნია რომ აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია იყო მართლზომიერი და საჩივარი არ დააკმაყოფილა.

დავა გაგრძელდა ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში. საბჭოს განმარტებით ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ს განათავისუფლებულია შემდეგი სახის მომსახურების გაწევა:

- სამედიცინო მომსახურების გაწევა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება;

საბჭომ მიიჩნია, რომ კომპანიის მიერ გაწეული რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდეგი სამედიცინო განათლების მომსახურება ვერ ჩაითვლება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაწეულ განათლების მომსახურებად. შესაბამისად, კომპანიის მიერ ტრენინგებიდან

და სხვადასხვა სწავლებებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს. შესაბამისად, საბჭომ განმარტა, რომ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება შეესაბამება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ დარიცხვა კანონიერად მიიჩნია, საბჭომ ჩათვალა რომ კომპანიის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენა გამოწვეული იყო გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით და კომპანია გაათავისუფლა აუდიტის დეპარტამენტის მიერ დარიცხული ჯარიმისგან.

წყარო: ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება #14454/9/2018

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 255,000 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 158 ქვეყნის 756 ოფისში.

ჩვენ გთავაზობთ ეფექტურ, ინოვაციურ და პრაქტიკულ საგადასახადო კონსულტაციას, რომელიც მორგებული იქნება თქვენს კონკრეტულ ბიზნეს საჭიროებებზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჩვენი ცოდნის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ თქვენი პრობლემები და შევითანოთ სიცხადე დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით.

PwC საქართველო საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებას, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვა.

PwC საქართველოს საგადასახადო დავების გადაწყვეტის პრაქტიკა შედგება საერთაშორისო და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის წამყვანი სპეციალისტებისგან გამოცდილი როგორც ფინანსთა სამინისტროს სისტემის ფარგლებში საგადასახადო დავების გადაწყვეტაში ასევე სასამართლო პროცესებში. ჩვენ მზად ვართ დავებმართოთ კომპანიებს, როგორც საგადასახადო შემოწმების ყველა ეტაპზე, ასევე გასაჩივრების სტადიაზე, რომელიც მოიცავს:

- საგადასახადო რისკების აღმოჩენა და საგადასახადო შემოწმებისთვის მომზადება;
- მხარდაჭერა საგადასახადო შემოწმების დროს;
- საგადასახადო შემოწმების შედეგების გასაჩივრება;
- საგადასახადო ზედმეტობის დაბრუნებაში დახმარება.

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ დავების გადაწყვეტილებებს თქვენს ბიზნესზე



სერგი კობახიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: sergi.kobakhidze@pwc.com



გიორგი ჭანტურიძე

უფროსი საგადასახადო მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: george.chanturidze@pwc.com



ლადო ჭაბაშვილი

საგადასახადო მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ. ფოსტა: lado.chabashvili@pwc.com



თორნიკე წიკლაური

უფროსი საგადასახადო კონსულტანტი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: tornike.tsiklauri@pwc.com

PwC-ში, ჩვენი მიზანია რომ შევქნათ სანდოობა საზოგადოებაში და გადავჭრათ მნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ ვართ კომპანიათა ქსელი, რომელიც წარმოდგენილია 158 ქვეყანაში 255,000-ზე მეტი პროფესიონალით, რომლებიც მოწოდებული არიან, რომ შეიტანონ ხარისხი აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო მომსახურებაში. შეიტყვეთ უფრო მეტი შემდეგ საიტზე www.pwc.com და გვაცნობეთ თუ რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი. PwC გულისხმობს წევრ კომპანიას საქართველოში, რომელიც წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს. მეტი დეტალი ჩვენი სტრუქტურის შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ შემდეგ მისამართზე www.pwc.com/structure.

© 2019 შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

